

განმარტებითი ბარათი

„ელექტროენერჯის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილების პროექტზე შპს „მტკვარი ენერჯისთვის“ გარანტირებული სიმძლავრის საფასურის და გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოების ტარიფის დადგენის შესახებ

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (შემდგომში - კომისია) 2017 წლის 19 დეკემბრის №40 დადგენილებით შეტანილ იქნა ცვლილება „ელექტროენერჯის ტარიფების შესახებ“ კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში და შპს „მტკვარი ენერჯისთვის“ (თბილსრესის №9 ბლოკი) 2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდზე განისაზღვრა, შემდეგი სატარიფო განაკვეთები:

- გარანტირებული სიმძლავრის საფასური დღეზე – 59 630 ლარი;
- ასანაზღაურებელი დღეების რაოდენობა – 275 დღე;
- გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოების ზღვრული (ზედა ზღვარი) ტარიფი – 11,512 თეთრი/კვტსთ.

ვინაიდან შპს „მტკვარი ენერჯისთვის“ (შემდგომში - საწარმო) გარანტირებული სიმძლავრის საფასურისა და გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოების ზღვრული ტარიფები დადგენილი იყო 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით მოქმედების ვადაზე, „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლისა და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ 2014 წლის 30 ივლისის №14 დადგენილებით დამტკიცებული „გარანტირებული სიმძლავრის საფასურის, გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოების და ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მომსახურების

შპს „მტკვარი ენერჯის“ გარანტირებული სიმძლავრის საფასური და ელექტროენერჯის წარმოების ზღვრული (ზედა ზღვარი) ტარიფი

ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიის“ 21-ე და 22-ე მუხლების საფუძველზე, გარანტირებული სიმძლავრის საფასურისა და გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოების ზღვრული ტარიფების დადგენის მოთხოვნით, შპს „მტკვარი ენერჯის“ მიერ 2018 წლის 4 ივლისის №127/1 წერილით საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში (შემდგომში - კომისია) წარმოდგენილი იქნა სატარიფო განაცხადი თანდართული დოკუმენტაციით, კერძოდ:

- შევსებული და ხელმოწერილი სატარიფო განაცხადი;
- ოფიციალურად დამოწმებული მოქმედი საშტატო განრიგი.

ასევე, კომისიის აპარატის მოთხოვნის შესაბამისად საწარმოს მიერ დამატებით წარმოდგენილი იქნა სხვადასხვა დოკუმენტაცია და ინფორმაცია, მათ შორის:

- სასაქონლო ზედნადებებისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების (RS) რეესტრები;
- მოქმედი ხელშეკრულებები სხვადასხვა საქონლის მომსახურებისა და სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვაზე;
- გრძელვადიანი ძირითადი მატერიალური და არამატერიალური აქტივების რეესტრი (რეგულირებადი აქტივების ბაზა);
- საგადასახადო ორგანოში წარდგენილი დეკლარაციები მოგების, ქონების, დღგ-ის და საშემოსავლო გადასახადებზე, ასევე, ბუნებრივი რესურსების მოსაკრებლის დეკლარაციები და საბაჟო დეკლარაციების რეესტრი;
- და სხვა.

შპს „მტკვარი ენერჯის“ სატარიფო განაცხადი სრულყოფილებისა და კანონშესაბამისობის შესახებ სამართლებრივი შეფასებისთვის 2018 წლის 5 ივლისს გაგზავნილი იქნა კომისიის აპარატის იურიდიულ დეპარტამენტში (სამსახურებრივი ბარათი №1895), ხოლო სატარიფო განაცხადებით წარმოდგენილი

*ტარიფებისა და ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტი, სემეკი
27 დეკემბერი, 2018 წელი*

შპს „მტკვარი ენერჯის“ გარანტირებული სიმძლავრის საფასური და ელექტროენერჯის წარმოების ზღვრული (ზედა ზღვარი) ტარიფი

ტექნიკური სახის ინფორმაციის შესაფასებლად შესაბამისი დასკვნისთვის გაგზავნილი იქნა კომისიის აპარატის ელექტროენერგეტიკის დეპარტამენტში (სამსახურებრივი ბარათი №1896).

ტარიფებისა და ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტმა განიხილა შპს „მტკვარი ენერჯის“ მიერ სატარიფო განაცხადი წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან ერთობლიობაში. ამასთან, 2018 წლის 6 ივლისის №1923 სამსახურებრივი ბარათით ელექტროენერგეტიკის დეპარტამენტმა და №1938 სამსახურებრივი ბარათით იურიდიულმა დეპარტამენტმა უზრუნველყვეს შესაბამისი დასკვნების წარმოდგენა, სადაც ერთ შემთხვევაში აღნიშნული იყო, რომ სატარიფო განაცხადში დასაზუსტებელი იყო აქტივების ბაზა, საინვესტიციო გეგმის ნაწილი (რომელიც არ იყო შევსებული), პერსონალის ზუსტი რაოდენობა და გარანტირებული სარეზერვო წყაროს გამოყენების რაოდენობა, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტები, კერძოდ, სატარიფო განაცხადის ტექნიკური ნაწილი დამაკმაყოფილებელია და საკმარისია ადმინისტრაციული წარმოების დასაწყებად, ხოლო მეორე შემთხვევაში - იურიდიულ დეპარტამენტს სატარიფო განაცხადთან დაკავშირებით სამართლებრივი სახის შენიშვნები არ გააჩნია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კომისიის 2018 წლის 17 ივლისის №56/3 გადაწყვეტილებით დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ელექტროენერჯის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის – დადგენილების გამოსაცემად, რომლის შესაბამისად დადგენილების გამოცემის ბოლო ვადად განისაზღვრა - 2018 წლის 31 დეკემბერი, ხოლო დადგენილებაზე მოსაზრებების წარმოდგენის ბოლო ვადად - 2018 წლის 1 ოქტომბერი, 18:00 საათი.

შპს „მტკვარი ენერჯის“ გარანტირებული სიმძლავრის საფასური და ელექტროენერჯის წარმოების ზღვრული (ზედა ზღვარი) ტარიფი

ტარიფებისა და ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტში (შემდგომში - დეპარტამენტი) დასრულდა მუშაობა შპს „მტკვარი ენერჯისთვის“ გარანტირებული სიმძლავრის საფასურისა და გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოების ზღვრული ტარიფების დადგენის მიზნით წარმოდგენილ სატარიფო განაცხადზე და შემდგომი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიისთვის წარმოდგენილია შესაბამისი დადგენილების პროექტი წინამდებარე განმარტებებით.

ენერგეტიკის მინისტრის 2006 წლის №77 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“ შესაბამისად გარანტირებული სიმძლავრით უზრუნველყოფის პერიოდს, სიმძლავრის თითოეული წყაროს მიხედვით განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა. მიმდინარე მდგომარეობით, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 15 ივლისის №193 დადგენილებით განსაზღვრულია გარანტირებული სიმძლავრის წყაროები, მათ შორის, შპს „მტკვარი ენერჯის“ (გარდაბნის თბოელექტროსადგურის №9 ენერგობლოკი) მიერ უზრუნველყოფილი მინიმალური გარანტირებული სიმძლავრე და გარანტირებული სიმძლავრით უზრუნველყოფის პერიოდი, კერძოდ, აღნიშნული საწარმოსთვის გარანტირებული სიმძლავრე - 180 მგვტ, ხოლო უზრუნველყოფის პერიოდი - 2010 წლის 1 სექტემბრიდან 2020 წლის 1 იანვრამდე.

საფუძველი

ლიცენზიატი საწარმოსთვის შესაბამისი ტარიფების გაანგარიშების საფუძველს წარმოადგენს „ელექტროენერჯის ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 30 ივლისის №14 დადგენილებით დამტკიცებული „გარანტირებული სიმძლავრის საფასურის,

შპს „მტკვარი ენერჯის“ გარანტირებული სიმძლავრის საფასური და ელექტროენერჯის წარმოების ზღვრული (ზედა ზღვარი) ტარიფი

გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოების და ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მომსახურების ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგია“ (დადგენილების დანართი №3) (შემდგომში - სატარიფო მეთოდოლოგია) და ასევე „სატარიფო რეგულირებას დაქვემდებარებული საწარმოების რეგულირებადი აქტივების ცვეთა/ამორტიზაციის ნორმები“ (დადგენილების დანართი №4).

აღნიშნული სატარიფო მეთოდოლოგიის მე-3 მუხლის შესაბამისად, კაპიტალური და საოპერაციო დანახარჯების გაანგარიშება ხორციელდება „დანახარჯები პლუს“ მეთოდით, აღნიშნული დანახარჯების ყოველწლიური აუდიტით, რომლის კორექტირებაც ხორციელდება ამავე სატარიფო მეთოდოლოგიით განსაზღვრული კორექტირების პრინციპების შესაბამისად.

ვინაიდან სატარიფო მეთოდოლოგიის მოთხოვნათა შესაბამისად, შპს „მტკვარი ენერჯისთვის“ სატესტო წელს წარმოადგენს 2017 წელი მარეგულირებელი მიზნებისათვის განხორციელდა საწარმოს კაპიტალური და საოპერაციო დანახარჯების 2017 სატესტო წლის მონაცემების აუდიტი და ანალიზი, რომლის ფარგლებშიც სატარიფო გაანგარიშებაში გაითვალისწინება მხოლოდ ის დანახარჯები, რომლებიც დასაბუთებული, გონივრული და სამართლიანია.

ამასთან, სატარიფო მეთოდოლოგიის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, კომისია თავის მხრივ უფლებამოსილია ტარიფის გაანგარიშებისას გაითვალისწინოს საწარმოს სატარიფო წლის საპროგნოზო ტექნიკურ-ეკონომიკური მონაცემები, რომლებსაც მიიჩნევს დასაბუთებულად, გონივრულად და სამართლიანად.

სატარიფო რეგულირების და ტარიფის დადგენის პერიოდი

„გარანტირებული სიმძლავრის საფასურის, გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოების და ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მომსახურების ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიის“ მე-4 მუხლის შესაბამისად, კომისიის მიერ ტარიფები დგინდება ყოველწლიურად, კონკრეტული საწარმოსთვის ინდივიდუალურად და მოქმედებს ერთი წლის ვადით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „მტკვარი ენერჯის“ სატარიფო რეგულირების პერიოდი უნდა განისაზღვროს 2019 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

რეგულირებადი აქტივების ბაზა და კაპიტალური დანახარჯები

შპს „მტკვარი ენერჯის“ მიერ სატარიფო განაცხადის ფარგლებში წარმოდგენილ იქნა მის საკუთრებაში არსებული, რეგულირებად საქმიანობაში მონაწილე/მოქმედი რეგულირებადი აქტივების ბაზა, რომლის მიხედვითაც საწარმოს მიერ 2017 წელს განხორციელებული ინვესტიცია შეადგენდა 1,443,297 ლარს. მათ შორის:

- ორი აქტივი ჯამური 225,903 ლარის ღირებულებით, რომლებიც წარმოდგენილი იყო ჯერ კიდევ 2017 წელს, 2018 წლის სატარიფო გაანგარიშებისას, როგორც მიმდინარე წლის ინვესტიცია და არ იქნა ასახული რეგულირებადი აქტივების ბაზაში. აქედან, ერთი - 224,667 ლარის ღირებულების სატრანსპორტო საშუალება, თავად საწარმოს წარმომადგენლების განცხადებით არ წარმოადგენდა რეგულირებად აქტივს, ხოლო მეორე აქტივის - 1,236 ლარის ღირებულების მობილური ტელეფონის, ასახვა ტარიფში დეპარტამენტმა მიიჩნია არამიზანშეწონილად.

შპს „მტკვარი ენერჯის“ გარანტირებული სიმძლავრის საფასური და ელექტროენერჯის წარმოების ზღვრული (ზედა ზღვარი) ტარიფი

- 840,422 ლარის ღირებულების აქტივები, რომლებიც ასევე წარმოდგენილი იქნა გასული წლის სატარიფო გაანგარიშების ფარგლებში და ასახული იქნა 2018 წლის ტარიფში როგორც მიმდინარე 2017 წლის ინვესტიცია. უფრო ზუსტად, გასული სატარიფო გაანგარიშებისას ასახულ იქნა 840,394 ლარის ღირებულება, 28 ლარის განსხვავება კი გამოწვეული იყო კონკრეტულად ერთი აქტივის, ავტოამწის ღირებულებით - გასული სატარიფო გაანგარიშებისას წარმოდგენილი ავტოამწის შესყიდვისა და მასზე განხორციელებული კაპიტალური რემონტების ღირებულება შეადგენდა 537,548 ლარს, ხოლო მიმდინარე სატარიფო გაანგარიშების ფარგლებში წარმოდგენილმა საბოლოოდ დაზუსტებულმა ღირებულებამ შეადგინა 537,576 ლარი.
- 376,971 ლარის ღირებულების ინვესტიცია, რომელიც საწარმოს მიერ განხორციელდა 2017 წლის დარჩენილ თვეებში და რომლის წარმოდგენაც ვერ მოესწრო გასული სატარიფო გაანგარიშებისას. აღნიშნული ინვესტიცია სათანადოდ იქნა შესწავლილი და მიჩნეული იქნა მიზანშეწონილად და გონივრულად.

შესაბამისად, ზემოაღნიშნული 1,443,297 ლარის ინვესტიციიდან 2019 წლის ტარიფში გასათვალისწინებელმა ინვესტიციამ შეადგინა 1,217,393 ლარი, ხოლო შესაბამისმა წლიურმა ცვეთამ -126,097 ლარი.

გარდა ამისა, 2017 წლის კაპიტალდაბანდებებს დაემატა 637,144 ლარის დანახარჯები, რომელიც საწარმოს მიერ წარმოდგენილი იქნა როგორც საოპერაციო ხარჯები, თუმცა მათი ანალიზის შედეგად აღიარებული იქნა კაპიტალურ დანახარჯებად. მათ შორის:

- ღსს „ენერგანოროგუმის“ მიერ შესრულებული 273,699 ლარის ღირებულების რემონტი, რომელიც ელექტროენერგეტიკის

შპს „მტკვარი ენერჯის“ გარანტირებული სიმძლავრის საფასური და ელექტროენერჯის წარმოების ზღვრული (ზედა ზღვარი) ტარიფი

დეპარტამენტის დასკვნის შესაბამისად მიჩნეულ იქნა კაპიტალურ რემონტად;

- შპს „ქუთაისის ავტომექანიკური ქარხანას“ მიერ შესრულებული სხვადასხვა სარემონტო სამუშაოები საერთო ჯამში 362,370 ლარის ღირებულებით, რომლებიც ამავე დასკვნის მიხედვით მიჩნეულ იქნა კაპიტალურ რემონტებად;
- 1,075 ლარის ღირებულების მცირე აქტივების შესყიდვები.

საბოლოოდ, 2017 წლის ინვესტიციებმა ჯამში შეადგინა 1,854,537 ლარი, ხოლო მათმა შესაბამისმა წლიურმა ცვეთამ შეადგინა 148,574 ლარი.

სატარიფო მეთოდოლოგიის თანახმად, 2019 წლის ტარიფში შესაძლებელია ასახულ იქნეს ასევე ტარიფის გაანგარიშების (2018) წლის ფაქტობრივი ინვესტიციები, რომლებიც უკვე დასრულებულია ტარიფის გაანგარიშებისას. შესაბამისად, კომისიის მოთხოვნით, საწარმოს მიერ სატარიფო განაცხადის ფარგლებში წარმოდგენილ იქნა 2018 წლის პირველი რვა თვის (აგვისტოს ჩათვლით) ინვესტიციები, რამაც ჯამში 145,830 ლარი შეადგინა, რომლის სათანადო შესწავლის შედეგად, მთლიანად იქნა ჩათვლილი მიზანშეწონილად და გონივრულად. აღნიშნული აქტივების შესაბამისმა წლიურმა ცვეთამ შეადგინა 24,089 ლარი.

შედეგად, სატარიფო 2019 წლის რეგულირებადი აქტივების ბაზის ღირებულებამ შეადგინა 39,672,997 ლარი (წმინდა საბალანსო ღირებულება 2019 წლის დასაწყისისთვის). შესაბამისად, 2019 წლისათვის განსაზღვრული კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების, 16.40%-ის გათვალისწინებით, ამონაგები აქტივებზე 2019 წლისათვის შეადგენს 6,506,372 ლარს. რაც შეეხება 2019 წლის წლიურ ცვეთას, აღნიშნული საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 2,890,590 ლარის ოდენობით. სულ, 2019 წლის კაპიტალური დანახარჯები შპს „მტკვარი ენერჯისათვის“ შეადგენს 9,396,962 ლარს.

2018 წლის კაპიტალური დანახარჯების კორექტირება

2018 წლის სატარიფო გაანგარიშებაში კომისიის მიერ გათვალისწინებულ იქნა შემდეგი საპროგნოზო მონაცემები: რეგულირებადი აქტივების ღირებულება - 41,379,519 ლარი და წლიური ცვეთა - 2,811,084 ლარი. აღნიშნული მონაცემების ფაქტიურ მონაცემებთან შედარებით მივიღეთ შემდეგი სურათი:

	RAB 2018	2018 წლის წლიური ცვეთა
<u>ფაქტიური წმინდა საბალანსო ღირებულება 2018 წლის დასაწყისისთვის</u>	42,393,668	2,866,501
<u>2018 წლისთვის დადგენილი</u>	41,379,519	2,811,084
<u>სხვაობა</u>	1,014,149	55,417

აღნიშნული განსხვავება გამოიწვია 2017 წლის ინვესტიციების დაზუსტებულმა მონაცემმა, რაც წინა თავში იქნა განხილული. შესაბამისად, კაპიტალური დანახარჯების საკორექტირებელმა თანხამ შეადგინა 221,737 ლარი, რაც დროში ფულის ღირებულების გათვალისწინებით (ერთწლიანი ჩამორჩენით) შეადგენს 250,408 ლარს.

საოპერაციო დანახარჯები

ტარიფებისა და ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტის მიერ შპს „მტკვარი ენერჯის“ 2017 წლის ფაქტობრივი დანახარჯების შესწავლის და გონივრული და მიზანშეწონილი დანახარჯების ოდენობის განსაზღვრის მიზნით, სატარიფო მეთოდოლოგიის შესაბამისად აუდიტი ჩაუტარდა საწარმოს 2017 სატესტო წლის დანახარჯებს, რომლებსაც დეტალური განმარტებებით წარმოგიდგენთ შემდეგი სახით:

შპს „მტკვარი ენერჯის“ გარანტირებული სიმძლავრის საფასური და ელექტროენერჯის წარმოების ზღვრული (ზედა ზღვარი) ტარიფი

შპს „მტკვარი ენერჯის“ (თბილსრესის N9 ბლოკი) მიერ სატარიფო განაცხადით წარმოდგენილი ინფორმაციის ანალიზისა და დამუშავების შედეგად ცვლილებები განიცადა საწარმოს საოპერაციო დანახარჯებმა, რის შედეგადაც ფიქსირებული საოპერაციო დანახარჯები (კორექტირების გათვალისწინების გარეშე), გარანტირებული სიმძლავრის საფასურის მიზნებისათვის უნდა განისაზღვროს **10,693,704** ლარის ოდენობით, ნაცვლად სატარიფო განაცხადით წარმოდგენილი 13,319,536 ლარისა, კერძოდ:

ფიქსირებული დანახარჯები (გარანტირებული სიმძლავრე)

N	დასახელება	სატარიფო განაცხადით (2017 წელი) (ლარი)	აპარატის პროექტით (ლარი)	სხვაობა (ლარი)
1	ელექტროენერჯის შესყიდვის ხარჯი		575,206	575,206
2	ელექტროენერჯის გატარების ხარჯი		67,854	67,854
3	სახელფასო ფონდი	4,612,074	4,145,640	(466,434)
4	ხარჯი ძირითად და დამხმარე მასალებზე	710,964	656,370	(54,594)
5	საწარმოო ძ.ს-ის მიმდინარე რემონტის ხარჯი	2,704,083	2,067,933	(636,150)
6	ელექტროენერჯის კომუნ. და სამეურნეო ხარჯი	649,382	6,269	(643,113)
7	კომუნალური ხარჯი (ელ. გარდა)	24,979	23,979	(1,000)
8	საკომუნიკაციო ხარჯი	20,592	20,264	(328)
9	საკანცელარიო ხარჯი	28,407	20,271	(8,136)
10	სამივლინებო ხარჯი	5,308	0	(5,308)
11	საკონსულტაციო ხარჯი	1,535,117	267,393	(1,267,724)
12	წარმომადგენლობითი ხარჯი	216	0	(216)
13	დაცვის ხარჯი	170,847	170,847	0
14	იჯარის ხარჯი	12,510	9,459	(3,051)
15	დაზღვევის ხარჯი	1,246,330	822,646	(423,684)
16	ბაზრის ოპერატორის მომსახურების საფასური	226,568	225,720	(848)
17	კომისიის რეგულირების საფასური	202,182	42,417	(159,765)

შპს „მტკვარი ენერჯის“ გარანტირებული სიმძლავრის საფასური და ელექტროენერჯის წარმოების ზღვრული (ზედა ზღვარი) ტარიფი

18	ქონების გადასახადი	641,497	1,096,607	455,109
19	მიწაზე ქონები გადასახადი	157,464	157,464	0
20	სხვა საოპერაციო ხარჯები	371,015	317,364	(53,651)
სულ საოპერაციო ხარჯი		13,319,536	10,693,704	(2,625,832)

დაზუსტების გამომწვევი მიზეზები მდგომარეობს შემდეგში:

➤ ელექტროენერჯის შესყიდვის ღირებულება მოიცავს ელექტროენერჯის შესყიდვისა და ელექტროენერჯის გატარების ხარჯებს. საწარმოს აღნიშნული ხარჯი ასახული ჰქონდა ელექტროენერჯის კომუნალურ და სამეურნეო ხარჯში. დეპარტამენტის მიერ მოხდა აღნიშნული დანახარჯის გადაჯგუფება საოპერაციო დანახარჯის შესაბამის მუხლებში. შესაბამისად, საწარმოს ელექტროენერჯის შესყიდვის სრულად დადასტურებული ხარჯი განისაზღვრა სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორისაგან“ და შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციისაგან“ შესყიდული ელექტროენერჯის ღირებულებაზე (სადგურის საკუთარი მოხმარებისათვის), რომელმაც შეადგინა – **575,206** ლარი, ხოლო ელექტროენერჯის გატარების ხარჯი განისაზღვრა ელექტროენერჯის გადაცემის ლიცენზიატებისა და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის (სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“, შპს „ენერგოტრანსი“ და სს „გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა საქრუსენერგო“) მიერ გაწეული ელექტროენერჯის გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის მომსახურების ღირებულების შესაბამისად ჯამში – **67,854** ლარის ოდენობით.

➤ **სახელფასო ფონდის** გაანგარიშებისას კომისიის აპარატის ტარიფებისა და ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტმა იხელმძღვანელა საწარმოს საშტატო განრიგით გათვალისწინებული თანამშრომელთა რაოდენობით – 193 საშტატო ერთეული (ვაკანსიების გათვალისწინებით), რომელთა საშუალო ხელფასი ერთეულზე განისაზღვრა თვეში 1,790 ლარის ოდენობით, თბოგენერაციის სეგმენტში ბოლო სატარიფო რეგულირებებისას კომისიის მიერ შედარებითი

ტარიფებისა და ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტი, სემეკი
27 დეკემბერი, 2018 წელი

შპს „მტკვარი ენერჯის“ გარანტირებული სიმძლავრის საფასური და ელექტროენერჯის წარმოების ზღვრული (ზედა ზღვარი) ტარიფი

ანალიზის საფუძველზე განსაზღვრული ერთგვაროვანი მიდგომის გამოყენებით, აღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილი ერთი წლის სახელფასო ფონდი განისაზღვრა **4,145,640** ლარის ოდენობით, ნაცვლად საწარმოს მიერ სატარიფო განაცხადით წარმოდგენილი 4,612,074 ლარისა.

ამასთან, ტარიფებისა და ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტი მიზანშეწონილად მიიჩნევს საწარმოს საოპერაციო ხარჯების ხელფასების მუხლში გათვალისწინებული იქნას „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნის შესაბამისად გამოწვეული ხარჯები (2019 წლის 1 იანვრიდან), ვინაიდან დამსაქმებელი მონაწილე დასაქმებულის სახელით, დასაქმებულის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე ელექტრონული სისტემის მეშვეობით ახორციელებს საპენსიო შენატანს დასაქმებულზე გასაცემი დასაბეგრი ხელფასის 2 პროცენტის ოდენობით. აღნიშნულის გათვალისწინებით, შპს „მტკვარი ენერჯის“ 2019 სატარიფო წელს წარმოეშვება დანახარჯი საორიენტაციოდ ჯამში **22,769** ლარის ოდენობით, რომლის გაანგარიშებაც ეფუძნება საწარმოს მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, კერძოდ:

შპს „მტკვარი ენერჯი“	თანამშრომელთა რაოდენობა	ერთი თვის სახელფასო ფონდი (ლარი)	დამსაქმებლის ხარჯი (2%)	წლის ხარჯი (ლარი)
40 წლამდე ასაკის თანამშრომლები	53	94,870	1,897	22,769

➤ დეპარტამენტის მიერ დეტალურად იქნა შესწავლილი ძირითადი და დამხმარე მასალების ხარჯი, რომელიც სატარიფო განაცხადის შესაბამისად შეადგენს 710,964 ლარს და მოიცავს გახარჯული მასალების, ქიმიური რეაგენტების, შეძენილი აქტივების და რემონტებზე გახარჯული მასალების ხარჯებს. ელექტროენერჯეტიკის დეპარტამენტის მიერ 2019 წლის 20 დეკემბრის №3590 სამსახურებრივი ბარათით წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე, შინაარსობრივი შესწავლის შედეგად აღნიშნული დანახარჯები მიჩნეულია

*ტარიფებისა და ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტი, სემეკი
27 დეკემბერი, 2018 წელი*

მიზანშეწონილად, რომელიც ასევე დადასტურებული იქნა დოკუმენტურად. ამასთან, საწარმოს მიერ გაწეული დანახარჯებიდან გამოყოფილი იქნა ქიმიური რეაგენტების ხარჯი ჯამში 54,594 ლარის ოდენობით, რომელიც უნდა აისახოს ცვლად საოპერაციო დანახარჯებში და შესაბამისად, მონაწილეობა უნდა მიიღოს გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოების ტარიფის გაანგარიშებაში.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ძირითადი და დამხმარე მასალების მიზანშეწონილი ხარჯი განისაზღვრა **656,370** ლარის ოდენობით, ნაცვლად სატარიფო განაცხადში მითითებული 710,964 ლარისა.

➤ რაც შეეხება საწარმოო ძირითადი საშუალებების მიმდინარე რემონტის ხარჯს სატარიფო განაცხადით წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად იგი შეადგენს 2,704,083 ლარს, რომელთან დაკავშირებითაც ელექტროენერგეტიკის დეპარტამენტის მიერ 2019 წლის 20 დეკემბრის №3590 სამსახურებრივი ბარათით წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე, ცალკეული პროექტები თავიანთი შინაარსისა და შესრულებული სამუშაოების ხასიათიდან გამომდინარე განეკუთვნება კაპიტალური რემონტების კატეგორიას, შესაბამისად ისინი არ უნდა იქნეს გათვალისწინებული საოპერაციო დანახარჯებში და უნდა დაემატოს რეგულირებადი აქტივების ბაზის ღირებულებას ჯამში 636,070 ლარის ოდენობით. ამასთან, დასკვნაში აღნიშნულია, რომ: „მიმდინარე და კაპიტალური რემონტების შესასრულებლად საწარმოს მიერ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე გადახდილი თანხების მოცულობების მიზანშეწონილობის დადასტურება ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია დეპარტამენტის შიდა ძალებით, სამუშაოებთან დაკავშირებით წარმოდგენილი მოცულობებისა და სადეფექტო აქტების, აგრეთვე სხვა დოკუმენტაციის ზოგადი ხასიათიდან გამომდინარე. ხშირ შემთხვევებში დეპარტამენტის მიერ გამოთხოვილი დამატებითი დოკუმენტაცია/დასაბუთება ვერ იძლევა საჭირო დონის დეტალიზაციას ან/და სამუშაოების მოცულობების განფასებას. ამასთან, ცალკეული ხელშეკრულებები გაფორმებულია ტენდერის ან/და ფასთა გამოკითხვის გარეშე. შესაბამისად,

შპს „მტკვარი ენერჯის“ გარანტირებული სიმძლავრის საფასური და ელექტროენერჯის წარმოების ზღვრული (ზედა ზღვარი) ტარიფი

დეპარტამენტი რეკომენდაციას იძლევა მოხდეს ცალკეული პროექტების (ძირითადად ხელშეკრულებები - შპს „ქუთაისის ავტომექანიკურ ქარხანასთან“ და სს „ენერგანოროგუმთან“) ექსპერტული შესწავლა/გამოკვლევა თუ რამდენად შესაბამისობაშია სახელშეკრულებო თანხები მიღებულ მომსახურებასთან ან/და მსგავსი ტიპის მომსახურებაზე საბაზრო ფასებთან და მიღებული დასკვნის საფუძველზე მოხდეს შესრულებული სამუშაოების ღირებულების კორექტირება სატარიფო მიზნებისათვის (ასეთი კორექტირების საჭიროების შემთხვევაში)“.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ტარიფებისა და ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტი მიზანშეწონილად მიიჩნევს ელექტროენერგეტიკის დეპარტამენტის რეკომენდაციის შესაბამისად სატარიფო გაანგარიშებაში ასახული იქნეს შინაარსობრივად მიზანშეწონილად მიჩნეული დანახარჯები, თუმცა მომსახურების/სამუშაოების საბაზრო ღირებულების დადგენის შესახებ შესაბამისი დასკვნის მიღების შემდგომ (საკითხის ექსპერტიზაზე გაგზავნას უზრუნველყოფს კომისია) დაკორექტირდეს მომდევნო სატარიფო რეგულირების ფარგლებში (ასეთი კორექტირების საჭიროების შემთხვევაში).

აღნიშნულიდან გამომდინარე შპს „მტკვარი ენერჯის“ დოკუმენტურად დადასტურებული (არაარსებითი სხვაობით), მიზანშეწონილი საწარმოო ძირითადი საშუალებების მიმდინარე რემონტის ხარჯი განისაზღვრა **2,067,933** ლარის ოდენობით, ნაცვლად სატარიფო განაცხადში მითითებული 2,704,083 ლარისა.

➤ **ელექტროენერჯის კომუნალური და სამეურნეო ხარჯში** კომუნალურ მომსახურებასთან ერთად საწარმოს ასევე ასახული ჰქონდა ელექტროენერჯის შესყიდვისა და გატარების ხარჯებიც, რომელიც ჯამში შეადგენდა 649,382 ლარს. აღნიშნული დანახარჯების შინაარსობრივ გადაჯგუფებიდან გამომდინარე, რომლის შესახებ დეტალური განმარტება მოცემულია „ელექტროენერჯის შესყიდვის და გატარების ხარჯი“ მუხლში, ელექტროენერჯის კომუნალური და სამეურნეო ხარჯი განისაზღვრა **6,269** ლარის ოდენობით, რომელიც წარმოადგენს

საწარმოსთვის სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიერ გაწეული კომუნალური მომსახურების დანახარჯს.

➤ შპს „მტკვარი ენერჯის“ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით **კომუნალური ხარჯი (ელექტროენერჯის გარდა)** მოიცავს შპს „რუსთავის წყლის“ მიერ გაწეულ წყალმომარაგების კომუნალური მომსახურებისა და დამლაგებლის ხელფასის ხარჯებს ჯამში 24,979 ლარის ოდენობით. დეპარტამენტმა შეისწავლა აღნიშნული დანახარჯები და მიზანშეწონილად მიიჩნევს არ იქნეს გათვალისწინებული დამატებით დაქირავებული დამლაგებლის ხელფასი (1,000 ლარი), ვინაიდან საწარმოს საშტატო განრიგში უკვე ასახულია დამლაგებლების პოზიციები შესაბამისი სახელფასო ანაზღაურებით. აღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილი კომუნალური ხარჯი განისაზღვრა **23,979** ლარის ოდენობით, ნაცვლად საწარმოს მიერ წარმოდგენილი 24,979 ლარისა.

➤ სატარიფო განაცხადით წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად საწარმოს **საკომუნიკაციო დანახარჯი** 2017 სატესტო წელს შეადგენს 20,592 ლარს, რომელიც შინაარსობრივი შესწავლისა და ანალიზის ფარგლებში სრულად იქნა მიჩნეული მიზანშეწონილად (კავშირგაბმულობის, ჰოსტინგის, დომენის, ინტერნეტით მომსახურები და სხვა), თუმცა გარკვეული კორექტირება განიცადა დოკუმენტური დადასტურების კუთხით და საბოლოო ჯამში განისაზღვრა **20,264** ლარის ოდენობით.

➤ საწარმოს მიერ წარმოდგენილი მონაცემებით **საკანცელარიო ხარჯი** მოიცავს ორი ტიპის დანახარჯს: საკანცელარიო-საოფისე საქონლის შესყიდვისა და სამეურნელო საქონლის შესყიდვის დანახარჯებს ჯამში 28,407 ლარის ოდენობით. დეპარტამენტი მიზანშეწონილად მიიჩნევს არ იქნეს გათვალისწინებული სამეურნელო საქონლის შესყიდვის ხარჯები (სამზარეულოს საქონლისა და მცენარეების ნერგები - სულ 8,136 ლარი). აღნიშნულის შესაბამისად, საწარმოს მიზანშეწონილი საკანცელარიო დანახარჯი განისაზღვრა **20,271** ლარის ოდენობით.

შპს „მტკვარი ენერჯის“ გარანტირებული სიმძლავრის საფასური და ელექტროენერჯის წარმოების ზღვრული (ზედა ზღვარი) ტარიფი

➤ სატარიფო განაცხადის შესაბამისად შპს „მტკვარი ენერჯის“ 2017 წლის მივლინების ხარჯი შეადგენს 5,308 ლარს, რომლის დეტალური შესწავლისა და ანალიზის მიზნით დეპარტამენტის მიერ მოთხოვნილი იქნა განხორციელებული მივლინებების დეტალური რეესტრი მივლინებული თანამშრომლის, მივლინების მიზნის, შინაარსის, პერიოდის, თანამშრომლისთვის ანაზღაურებული თანხებისა და სხვა დეტალების მითითებით. იმის გათვალისწინებით, რომ საწარმომ ვერ უზრუნველყო ზემოთ ჩამოთვლილი ინფორმაციის მოწოდება აღნიშნული დანახარჯი არ ექვემდებარება შპს „მტკვარი ენერჯის“ საოპერაციო დანახარჯებში ასახვას.

➤ საწარმოს მიერ წარმოდგენილი სატარიფო განაცხადით საკონსულტაციო ხარჯი შეადგენს 1,535,117 ლარს, რომელიც მოიცავს სხვადასხვა აუდიტორულ, იურიდიულ და საკონსულტაციო მომსახურებებს. დეპარტამენტმა შეისწავლა აღნიშნული დანახარჯები და მიზანშეწონილად მიიჩნევს არ იქნეს გათვალისწინებული სს საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორის მომსახურების (7,364 ლარი) და საშემფასებლო მომსახურების (4,897 ლარი) ხარჯები, რომლებიც საწარმოს განმარტებით არ უკავშირდება რეგულირებად საქმიანობას;

რაც შეეხება შპს „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ მიერ 2017 სატესტო წელს გაწეულ საკონსულტაციო მომსახურების ღირებულებას - 1,200,000 ლარს, ვინაიდან ეს კომპანია წარმოადგენს შპს „მტკვარი ენერჯის“ ურთიერთდამოკიდებულ საწარმოს, დეპარტამენტი მიზანშეწონილად მიიჩნევს დანახარჯი გათვალისწინებული იქნეს გონივრული ოდენობით, რომელიც შეადგენს 118,140 ლარს. აღნიშნული თანხის გაანგარიშება ეფუძნება შემდეგ მონაცემებს: შპს „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ ტარიფებისა და საბაზრო რეგულაციების განყოფილების თანამშრომლები სრულად (7 პერსონა) და ასევე, საგადასახადო და იურიდიული საკითხების 2-2 კონსულტანტი იქნა მიზანშეწონილ თანამშრომელთა ოდენობად მიჩნეული, რომლებიც უნდა მოემსახურონ, როგორც შპს „მტკვარი ენერჯის“ ასევე, შპს „საქართველოს

შპს „მტკვარი ენერჯის“ გარანტირებული სიმძლავრის საფასური და ელექტროენერჯის წარმოების ზღვრული (ზედა ზღვარი) ტარიფი

საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციას“ და გაუწიონ შესაბამისი საკონსულტაციო მომსახურება. ზემოაღნიშნული ანალიზის საფუძველზე გაანგარიშდა 11 თანამშრომლის (თბოელექტროსადგურებში დასაქმებულ თანამშრომელთათვის განსაზღვრული საშუალო ხელფასი - 1,790 ლარი) წლიური სახელფასო ხარჯი 236,280 (11 თანამშრომელი * 1,790 ლარი * 12 თვე) ლარი ორივე საწარმოსთვის და შესაბამისად შპს „მტკვარი ენერჯისთვის“ საკონსულტაციო ხარჯმა შეადგინა 118,140 (236,280 / 2) ლარი. ამასთან, დეპარტამენტის მოსაზრებით აღნიშნული მომსახურება მოიცავს შპს ქი პოინტს კონსალტინგთან და შპს იუაი საქართველოსთან გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში გაწეულ იურიდიულ (167,542 ლარი) და საგადასახადო საკონსულტაციო (6,061 ლარი) მომსახურებებს, შესაბამისად, სატარიფო გაანგარიშებაში ასახვას არ ექვემდებარება აღნიშნული მომსახურების ხარჯები.

აღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილი საკონსულტაციო ხარჯი განისაზღვრა ჯამში **267,393** ლარის ოდენობით, ნაცვლად საწარმოს მიერ წარმოდგენილი 1,535,117 ლარისა.

➤ შპს „მტკვარი ენერჯის“ მიერ მოწოდებული ინფორმაციით 2017 სატესტო წელს გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი შეადგენს 216 ლარს, რომელიც შესახებ დეტალური ინფორმაცია საწარმოს მიერ არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად, იგი არ ექვემდებარება საოპერაციო დანახარჯებში გათვალისწინებას.

➤ საწარმოს 2017 წლის **დაცვის ხარჯი** სატარიფო განაცხადის შესაბამისად შეადგენს **170,847** ლარს, რომელიც წარმოადგენს გარდაბნის თბოსადგურის (გარდაბანი, აღმაშენებლის ქ. №2) დაცვის მომსახურებების ღირებულებას. ვინაიდან აღნიშნული წარმოადგენს მიზანშეწონილ დანახარჯს და დოკუმენტურად სრულად იქნა დადასტურებული დეპარტამენტის მიერ საწარმოს დაცვის ხარჯი განისაზღვრა სატარიფო განაცხადში მითითებული ოდენობით.

➤ საწარმოს მიერ წარმოდგენილი სატარიფო განაცხადით **იჯარის ხარჯი** 12,510 ლარს, რომელიც მოიცავს:

შპს „მტკვარი ენერჯის“ გარანტირებული სიმძლავრის საფასური და ელექტროენერჯის წარმოების ზღვრული (ზედა ზღვარი) ტარიფი

- ა) ოფისის იჯარა (ქ. თბილისი, გაზაფხულის ქუჩაზე №14) - 2,136 ლარი;
- ბ) კემპინგის იჯარა მუშა პერსონალის განსათავსებლად - 3,335 ლარი;
- გ) სხვადასხვა ტექნიკისა მოწყობილობების იჯარა - 3,988 ლარი;
- დ) სპორტული დარბაზით მომსახურება - 3,051 ლარი.

აღნიშნული იჯარის ხარჯიდან დეპარტამენტი მიზანშეწონილად მიიჩნევს სატარიფო გაანგარიშებაში არ იქნეს ასახული სპორტული დარბაზის იჯარის ხარჯი. შესაბამისად, შპს „მტკვარი ენერჯის“ მიზანშეწონილი იჯარის ხარჯი განისაზღვრა ჯამში **9,459** ლარის ოდენობით, ნაცვლად სატარიფო განაცხადით წარმოდგენილი 12,510 ლარისა.

➤ საწარმოს მიერ სატარიფო განაცხადით წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად **დაზღვევის ხარჯი** შეადგენს 1,246,330 ლარს, რომელიც მოიცავდა ავტოსატრანსპორტო საშუალებების, კონსტრუქციული ელემენტების, მანქანა-დანადგარების, საწარმოო მოწყობილობების დაზღვევის, თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევისა და მესამე პირების წინაშე სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის, ასევე, საქმიანობის შეფერხების დაზღვევის ხარჯებს. აღნიშნულის ფარგლებში დეპარტამენტი მიზანშეწონილად მიიჩნევს სატარიფო გაანგარიშებაში გათვალისწინებულ იქნეს დაზღვევის შემდეგი ხარჯები:

1. თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევის ხარჯი მხოლოდ ტექნიკური პერსონალისთვის, რომელიც გაანგარიშდა თანამშრომელთა მთლიან რაოდენობასა (193 ადამიანი) და ადმინისტრაციულ პერსონალს (20 ადამიანი) შორის სხვაობით (173 ადამიანი), სადაზღვევო ხელშეკრულებით განსაზღვრული მინიმალურ სადაზღვევო პაკეტის ღირებულებაზე ნამრავლით (20.625 ლარი საშემოსავლოს ჩათლით). შესაბამისად, ჯანმრთელობის დაზღვევის მიზანშეწონილი დანახარჯი შეადგენს - 42,818 ლარს;
2. წარმოდგენილი დაზღვევის პოლისების შესაბამისად ავტოსატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის (გარეგანი დაზიანება,

*ტარიფებისა და ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტი, სემეკი
27 დეკემბერი, 2018 წელი*

შპს „მტკვარი ენერჯის“ გარანტირებული სიმძლავრის საფასური და ელექტროენერჯის წარმოების ზღვრული (ზედა ზღვარი) ტარიფი

მატერიალური ზიანი და პასუხისმგებლობა, მძლოლისა და მგზავრების უბედური შემთხვევა) ხარჯი შეადგენს - 26,925 ლარს;

3. მანქანა-დანადგარებისა და ქონების დაზღვევის (მანქანა-დანადგარების მწყობრიდან გამოსვლა, ქონების დაზღვევა ჩვეული რისკებისგან), ხარჯი შეადგენს - 752,904 ლარს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2019 წლის სატარიფო წლისთვის დაზღვევის მიზანშეწონილი ხარჯი განისაზღვრა **822,646** ლარის ოდენობით, ნაცვლად სატარიფო განაცხადით წარმოდგენილი 1,246,330 ლარისა.

➤ **ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მომსახურების საფასური** განისაზღვრა ენერგეტიკის მინისტრის 2006 წლის №77 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“ საფუძველზე გარანტირებული სიმძლავრის საფასურში, კომისიის მიერ სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ მომსახურებაზე დამტკიცებული ტარიფის მიხედვით (0.019 თეთრი/კვტსთ). შესაბამისად, აღნიშნული დანახარჯი საპროგნოზოდ გათვალისწინებული უნდა იქნეს ფიქსირებული საოპერაციო დანახარჯების ნაწილში, რომელიც შეადგენს **225,720** ლარს, ნაცვლად სატარიფო განაცხადით წარმოდგენილი 226,568 ლარისა.

➤ **რეგულირების საფასურის** განსაზღვრა მოხდა კომისიის მიერ დამტკიცებული „რეგულირების საფასურის გაანგარიშებისა და გადახდის წესების დამტკიცების შესახებ“ 2008 წლის 18 სექტემბრის №24 დადგენილების მიხედვით (კოეფიციენტი 0.002) და ფიქსირებული საოპერაციო დანახარჯების ნაწილში შეადგინა **42,417** ლარი.

➤ შპს „მტკვარი ენერჯის“ სატარიფო განაცხადში **ქონების გადასახადის** ხარჯი შეადგენს 641,497 ლარს. ვინაიდან საწარმომ მოახდინა აქტივების გადაფასება (შეიცვალა საწარმოს მესაკუთრე და ახალმა მესაკუთრემ გადააფასა აქტივები), შეიცვალა ქონების საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულება და შესაბამისად გაიზარდა გადასახადის თანხა.

იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ხარჯი წარმოადგენს საწარმოს არაკონტროლირებად საოპერაციო დანახარჯს რეგულირებად საქმიანობაში ჩართულ აქტივებზე, დეპარტამენტი მიზანშეწონილად მიიჩნევს ქონების გადასახადის ხარჯი განისაზღვროს საგადასახადო ორგანოში წარდგენილი 2018 წლის 30 მარტის დეკლარაციის შესაბამისად (რეგისტრაციის ნომერი 15I49940334) - **1,096,607** ლარის ოდენობით.

➤ **მიწაზე ქონების გადასახადის ხარჯი** უნდა განისაზღვროს 2017 წლის ქონების გადასახადის დეკლარაციის შესაბამისად - **157,464** ლარის ოდენობით, როგორც ეს მოცემული იყო სატარიფო განაცხადში.

➤ **სხვა საოპერაციო ხარჯები** საწარმოს მიერ წარმოდგენილი დეტალური ჩაშლით მოიცავდა თარგმნასა და IT მომსახურებას, ტენდერის საფასურს, ტექნიკურ, ფოსტის, დეზინფექციის, თანამშრომელთა კვებისა და ტრანსპორტის მომსახურების და სხვა ხარჯებს, სულ ღირებულებით 371,015 ლარი. მათ შორის, საოპერაციო დანახარჯებში ასახვას არ ექვემდებარება საწარმოს საფეხბურთო გუნდის გადასაყვანად ტრანსპორტირების მომსახურება (3,675 ლარი), თანამშრომელთა მოტივაციის ფარგლებში გაწეული ხარჯები (6,955 ლარი), ასევე, ღონისძიების ფინანსური მხარდაჭერა/სპონსორობაზე გაწეული ხარჯი (7,942 ლარი); რაც შეეხება სხვა დანარჩენ ხარჯებს, გარკვეული სხვაობა წარმოიშვა დოკუმენტურად დადასტურების ნაწილში. აღნიშნულის გათვალისწინებით, სხვა საოპერაციო ხარჯები უნდა განისაზღვროს **317,364** ლარის ოდენობით.

დასაკორექტირებელი შემოსავალი

შპს „მტკვარი ენერჯის“ მიერ 2017 წელს მიღებული სხვა საოპერაციო შემოსავალი შედგება საწარმოს მიერ ისეთი საქმიანობების განხორციელებიდან, როგორცაა: იჯარა, ტექნიკური წყლით მომსახურება ძირითადი საშუალებებით მომსახურებასთან ერთად, თვითმცლელით მომსახურება და სხვა. ასევე, ფიქსირდებოდა შემოსავალი სხვადასხვა აქტივების რეალიზაციიდან.

შპს „მტკვარი ენერჯის“ გარანტირებული სიმძლავრის საფასური და ელექტროენერჯის წარმოების ზღვრული (ზედა ზღვარი) ტარიფი

ვინაიდან ზემოხსენებული მომსახურებებიდან/აქტივების რეალიზაციიდან მიღებული თანხები წარმოადგენს სატესტო წლის მდგომარეობით ლიცენზიატი საწარმოს რეგულირებადი აქტივების ბაზაში ასახული აქტივების და რეგულირებად საქმიანობაში დასაქმებული ადამიანური რესურსების სხვა (რეგულირებად ან არარეგულირებად) საქმიანობაში გამოყენებიდან და ექსპლუატაციიდან გასული აქტივის რეალიზაციიდან მიღებულ მოგებას, „ელექტროენერჯის ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიის“ მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, კომისია უფლებამოსილია, საწარმოს რეგულირებადი დანახარჯების ბაზა შეამციროს ზემოთ ჩამოთვლილი მომსახურებებიდან მიღებული მოგებით სრულად ან ნაწილობრივ. აღნიშნულიდან გამომდინარე, ტარიფებისა და ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტი მიზანშეწონილად მიიჩნევს შპს „მტკვარი ენერჯის“ რეგულირებადი დანახარჯების ბაზა (მოთხოვნილი შემოსავალი) დაკორექტირებული (შემცირებული) იქნეს ჯამში **332,588** ლარის ოდენობით. მათ შორის:

№	დასახელება	პროპორცია	მიღებული შემოსავალი (ლარი)
1	იჯარა	50%	9,519
2	ტექნიკური წყლის მომსახურების ღირებულება	100%	287,016
3	ტექნიკური წყლის მომსახურების ღირებულება	50%	14,167
4	ელექტრო მექანიკური დანადგარების შეკეთება	100%	6,675
5	სხვადასხვა	100%	15,210
	ჯამი		332,588

საოპერაციო დანახარჯების კორექტირება

სატარიფო მეთოდოლოგიის შესაბამისად, განსაზღვრულია საოპერაციო დანახარჯების კორექტირება - თუ სატარიფო წლისთვის საწარმოს მიერ ფაქტობრივად გაწეული საოპერაციო დანახარჯები განსხვავდება შესაბამისი ტარიფის დადგენისას გათვალისწინებული საოპერაციო დანახარჯების ოდენობისაგან, მაშინ კომისია უზრუნველყოფს საწარმოს რეგულირებადი დანახარჯების ბაზის კორექტირებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე შპს „მტკვარი ენერჯის“ შეეხო 2017 წლის ტარიფის გაანგარიშებისთვის საოპერაციო დანახარჯების კორექტირება 2017 წლის ფაქტიდან გამომდინარე. ცხრილში წარმოდგენილია აღნიშნული კორექტირება საოპერაციო დანახარჯების თითოეული მუხლის შესაბამისად.

№	დასახელება	2017 წლის ფაქტიური ხარჯი (ლარი)	2017 წლის ტარიფში ასახული (ლარი)	სხვაობა
1	ელექტროენერჯის შესყიდვის ხარჯი	575,206	480,561	94,645
2	ელექტროენერჯის გატარების ხარჯი	67,854	50,712	17,142
3	ხარჯი ძირითად და დამხმარე მასალებზე	656,370	1,130,944	(474,573)
4	საწარმოო ძირითადი საშუალებების მიმდინარე რემონტის ხარჯი	2,067,933	1,279,179	788,754
5	ელექტროენერჯის კომუნალური და სამეურნეო ხარჯი	6,269	6,318	(48)
6	კომუნალური ხარჯი (ელექტროენერჯის გარდა)	23,979	16,737	7,243
7	საკომუნიკაციო ხარჯი	20,264	39,346	(19,082)
8	საკანცელარიო ხარჯი	20,271	31,911	(11,640)
9	სამივლინებო ხარჯი	-	34,528	(34,528)
10	საკონსულტაციო ხარჯი	267,393	304,015	(36,622)
11	წარმომადგენლობითი ხარჯი		10,572	(10,572)
12	დაცვის ხარჯი	170,847	170,847	-
13	იჯარის ხარჯი	9,459	7,344	2,115
14	დაზღვევის ხარჯი	822,646	577,324	245,322

შპს „მტკვარი ენერჯის“ გარანტირებული სიმძლავრის საფასური და ელექტროენერჯის წარმოების ზღვრული (ზედა ზღვარი) ტარიფი

15	ბაზრის ოპერატორის მომსახურების საფასური	226,568	225,720	848
16	ქონების გადასახადი	626,858	154,192	472,666
17	მიწაზე ქონები გადასახადი	157,464	284,126	(126,662)
18	სხვა საგადასახადო ხარჯი	-	-	-
19	სხვა საოპერაციო ხარჯები	317,364	314,406	2,958
	ჯამი	10,205,156	9,300,940	917,965

სულ საოპერაციო დანახარჯების კორექტირების ხარჯმა შეადგინა 917,965 ლარი, რომელიც დროში ფულის ღირებულების (WACC) გათვალისწინებით შეადგენს 1,177,022 ლარს (დადებითი ნიშნით), რაც იმას ნიშნავს, რომ საწარმოს 2019 წლის რეგულირებადი დანახარჯების ბაზას უნდა დაემატოს **1,177,022** ლარი.

ცვლადი საოპერაციო დანახარჯები

(ელექტროენერჯის წარმოება)

სატარიფო მეთოდოლოგიის შესაბამისად განისაზღვრა თბოელექტროსადგურის მიერ ელექტროენერჯის წარმოებისთვის მოხმარებული ბუნებრივი გაზის საშუალო ფაქტობრივი ხვედრითი ხარჯი (ბუნებრივი გაზის ფაქტობრივი ხარჯი/ელექტროენერჯის ფაქტობრივი გაცემა) 2017 წლის დეკემბრიდან 2018 წლის ნოემბრის ჩათვლით პერიოდზე. აღნიშნულმა კოეფიციენტმა შეადგინა **0.2909677** მ³/კვტსთ და 2019 სატარიფო წლისათვის განისაზღვრა ელექტროენერჯის სალტეზე გასაცემი ოდენობა **731.812544** მლნ. კვტსთ-ის ოდენობით, რომელიც აღებული იქნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 5 დეკემბრის №1-1/547 ბრძანებით დამტკიცებული „2019 წლის ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბალანსიდან“. შესაბამისად, 2019 სატარიფო წლისთვის დაგეგმილმა ელექტროენერჯის წარმოებისათვის საჭირო ბუნებრივი გაზის ოდენობამ შეადგინა **212,933.841** ათასი კუბური მეტრი. აღნიშნული მონაცემების განსაზღვრისას ინფორმაციები მოწოდებული იქნა, როგორც საწარმოს სატარიფო განაცხადის ფარგლებში, ასევე,

ტარიფებისა და ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტი, სემეკი
27 დეკემბერი, 2018 წელი

შპს „მტკვარი ენერჯის“ გარანტირებული სიმძლავრის საფასური და ელექტროენერჯის წარმოების ზღვრული (ზედა ზღვარი) ტარიფი

ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორიდან (ელექტროენერჯის ფაქტობრივი გამომუშავება და სალტეზე გაცემა თვეების მიხედვით) და საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიიდან (ელექტროენერჯის წარმოებისთვის საჭირო ბუნებრივი გაზის ფაქტობრივი ხარჯი თვეების მიხედვით).

სატარიფო განაცხადით წარმოდგენილი ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების მიხედვით, ბუნებრივი გაზის ერთეულის შესყიდვის ფასია **143** აშშ დოლარი/1000 მ³ დღე-ის გარეშე. ამავე ხელშეკრულებით განსაზღვრულია ანგარიშსწორების პირობები ეროვნულ ვალუტაში, კერძოდ, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ყოველი თვის ბოლო საბანკო დღისთვის ლარის აშშ დოლართან მიმართებაში დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით. 2019 წლის სატარიფო მიზნებისათვის ლარის აშშ დოლართან მიმართებით გაცვლით საპროგნოზო კურსად აღებული იქნა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი 2018 წლის 27 დეკემბერისთვის (ტარიფის დადგენის დღე) მოქმედი ლარის აშშ დოლართან მიმართებით გაცვლითი კურსი, რომელმაც შეადგინა **2.6639**. ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ტარიფი დადგენილია კომისიის მიერ – **18.70** ლარი/1000 მ³ დღე-ის გარეშე, ასევე, გასათვალისწინებელია საწარმოს მიერ შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ საკუთრებაში არსებული გაზსადენი ქსელის იჯარის ხარჯი, რომელიც შეადგენს 0.037 ლარს/1000 მ³-ზე დღე-ის გარეშე. ზემოხსენებულის გათვალისწინებით ბუნებრივი გაზის შესყიდვის ფასი განისაზღვრა **399.6747** ($143\$ \cdot 2.6639 + 18.70 + 0.037$) ლარი/1000 მ³-ზე. შესაბამისად, ტარიფში გასათვალისწინებელი სათბობის საერთო ღირებულება უნდა შეადგენდეს **85,104.269** ლარს.

რეგულირების საფასურის საპროგნოზო ოდენობის გაანგარიშება ასევე მოხდა კანონშესაბამისად (კომისიის მიერ დამტკიცებული „რეგულირების საფასურის გაანგარიშებისა და გადახდის წესების დამტკიცების შესახებ“ 2014 წლის 25 დეკემბრის №34 დადგენილების მიხედვით – კოეფიციენტი 0.002).

შპს „მტკვარი ენერჯის“ გარანტირებული სიმძლავრის საფასური და ელექტროენერჯის წარმოების ზღვრული (ზედა ზღვარი) ტარიფი

ზემოაღნიშნული მიდგომის გათვალისწინებით რეგულირების საფასურის საპროგნოზო ოდენობამ ცვლადი დანახარჯების ნაწილში შეადგინა **170,451** ლარი.

თბოელექტროსადგურში ელექტროენერჯის გამომუშავებისათვის სამეურნეო წყლის ფილტრაცია/გასუფთავებისათვის საჭირო ქიმიური საშუალებების (ქიმიკატების) ხარჯი შეადგენს **92,093** ლარს, ხოლო ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი კი - **50,468** ლარს.

სატარიფო მეთოდოლოგიის თანახმად, კორექტირების გაანგარიშება განხორციელდა გასული რეგულირების პერიოდზე (12.2017-11.2018), საწარმოს საკუთრებაში არსებული თბოელექტროსადგურის მიერ ელექტროენერჯის წარმოებისათვის საჭირო ბუნებრივი გაზის შესყიდვისას უცხოურ ვალუტასთან (აშშ დოლარი) მიმართებაში ლარის გაცვლითი კურსის და ასევე, ელექტროენერჯის წარმოებისათვის საჭირო ბუნებრივი გაზის ხვედრითი ხარჯის დაგეგმილი (კომისიის მიერ დადგენილი ტარიფით განსაზღვრული შესაბამისი მაჩვენებელი) და ფაქტობრივი მნიშვნელობების სხვაობიდან მიღებულ შედეგებზე. კორექტირებას დაექვემდებარა 2017 წლის რეგულირების საფასური და სხვა ცვლადი საოპერაციო დანახარჯებიც, რომლებიც აგრეთვე დაკორექტირდა დაგეგმილ და ფაქტობრივად სალტეზე გაცემულ (რეალიზებულ) ელექტროენერჯის რაოდენობებს შორის გამოწვეული სხვაობითაც. შედეგად, ზემოაღნიშნული კორექტირებებისა და ამასთან, დადგენილი ტარიფით განსაზღვრული ყველა კორექტირების (მათ შორის ე.წ. გრძელვადიანი კორექტირების) შესრულების საღირებულმა ნაშთმა მიმდინარე სატარიფო პერიოდის გაანგარიშებისათვის მთლიანობაში შეადგინა უარყოფითი სალდო **191,877** ლარის ოდენობით.

ზემოთ აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით შპს „მტკვარი ენერჯის“ ცვლადი საოპერაციო დანახარჯების გაანგარიშება გამოიყურება შემდეგნაირად:

შპს „მტკვარი ენერჯის“ გარანტირებული სიმძლავრის საფასური და ელექტროენერჯის წარმოების ზღვრული (ზედა ზღვარი) ტარიფი

დასახელება	განზომილება	თანხა
ბუნებრივი გაზის ხარჯი ნატურაში	ათ. კუბ.მ.	212,934
ბუნებრივი გაზის ხვედრით ხარჯი	კუბ.მ./კვტსთ	0.291
ნეტო ბუნებრივი გაზის ფასი	\$/1000 კუბ.მ.	143
აშშ დოლარის გაცვლითი კურსი	\$/GEL	2.6639
ნეტო ბუნ.გაზის ფასი	ლარი/1000 მ3	381
ტრანსპორტირების ტარიფი	ლარი/1000 მ3	18.70
გატარების ტარიფი/საფასური	ლარი/1000 მ3	0.037
ბუნ.გაზის შესყიდვის ფასი	ლარი/1000 მ3	400
საწვავის (ბუნ.გაზის) ღირებულება	ათ. ლარი	85,104
კორექტირება ჯამში	ათ. ლარი	(192)
მიმდინარე კორექტირება (EXC & EFF) 2017/12-2018/11 წ.	ათ. ლარი	248
დადგენილი ტარიფით განსაზღვრული ყველა კორექტირების შესრულება	ათ. ლარი	(440)
რეგულირების საფასური და სხვა ცვლადი საოპერაციო ხარჯები	ათ. ლარი	313
სულ ცვლადი საოპერაციო ხარჯები	ათ. ლარი	85,225
ელ. ენერჯის გამომუშავება (სატარიფო)	მლნ. კვტსთ	771.700
ელ. ენერჯის სალტეზე გაცემა (სატარიფო)	მლნ. კვტსთ	731.813

რეგულირებადი დანახარჯების ბაზა და გარანტირებული სიმძლავრის საფასური და ელექტროენერჯის წარმოების ტარიფი

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შპს „მტკვარი ენერჯის“ რეგულირებადი დანახარჯების ბაზამ შეადგინა 21,208,276 ლარი. ელექტროენერჯის დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ კომისიაში 2018 წლის 22 ნოემბერს წარმოდგენილი წერილის (#6643/17) მიხედვით შპს „მტკვარი ენერჯის“ საკუთრებაში არსებული გარდაბნის მე-9 ენერგობლოკისთვის 2019 წელს

ტარიფებისა და ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტი, სემეკი
27 დეკემბერი, 2018 წელი

შპს „მტკვარი ენერჯის“ გარანტირებული სიმძლავრის საფასური და ელექტროენერჯიის წარმოების ზღვრული (ზედა ზღვარი) ტარიფი

ჩასატარებელი გეგმიური რემონტების საპროგნოზო ხანგრძლივობად განსაზღვრულია 90 დღე. შესაბამისად, ენერგობლოკის 2019 გარანტირებულ რეზერვში ყოფნის ხანგრძლივობა შეადგენს 275 დღეს.

შედეგად, შპს „მტკვარი ენერჯის“ საკუთრებაში არსებული გარდაბნის მე-9 ენერგობლოკისთვის რეგულირებადი დანახარჯების ბაზის და გარანტირებული სიმძლავრის საფასურისთვის მივიღეთ შემდეგი სურათი:

<i>შპს „მტკვარი ენერჯი“</i>	
<i>კაპიტალური დანახარჯები</i>	9,396,962
<i>ფიქსირებული საოპერაციო დანახარჯები</i>	10,716,472
<i>კორექტირება ფაქტიურსა და დაგეგმილ მაჩვენებლებს შორის სხვაობით</i>	1,427,430
<i>კორექტირება არასაოპერაციო შემოსავლით</i>	(332,588)
<i>სულ, რეგულირებადი დანახარჯების ბაზა</i>	21,208,276
<i>გარანტირებულ რეზერვში ყოფნის ხანგრძლივობა</i>	275
<i>გარანტირებული სიმძლავრის საფასური (ლარი/დღე)</i>	<u>77,121</u>
<i>ელექტროენერჯიის წარმოების ზღვრული ტარიფი (ზედა ზღვარი) (თეთრი/კვტსთ)</i>	<u>11.646</u>

ტარიფები გაიანგარიშება დღგ-ის გარეშე.

ტარიფებისა და ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტი,

27 დეკემბერი 2018 წელი